ლექცია 6.
საგნობრივ გაკვეთილებზე ენის სწავლის ხელშეწყობა;
ენის გაკვეთილებზე საგნობრივი შინაარსის სწავლის ხელშეწყობა

6.1. საგნობრივ გაკვეთილებზე ენის სწავლის ხელშეწყობა

ყოველ საგანს საკუთარი ტერმინოლოგია აქვს - ენა, რომელიც საერთოა მეცნიერთათვის, მათემატიკოსთათვის ან მსახიობთათვის... პირველ ეტაპზე უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა ენობრივი ცოდნა უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებს (კონკრეტული საგნობრივი შინაარსისთვის აუცილებელი ენა) საგნობრივი შინაარსის დასაუფლებლად. ენა, რომელიც დაეხმარებოდა, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი არაა (შინაარსთან შეთავსებადი ენა) საგნის სასწავლად უკანა პლანზე გადადის, თუმცა მასაც სჭირდება ხელშეწყობა. საგნობრივ შინაარსთან შეთავსებადი ენა ხდება მნიშვნელოვანი, როდესაც მოსწავლეები ცდილობენ საკუთარი აზრების გამოთქმას შესასწავლ თემასთან დაკავშირებით. ამის შედეგად, სწორედ შინაარსთან შეთავსებადი ენა არის ხოლმე ის, რაც მოსწავლეებს მართლა აინტერესებთ. მას ხანდახან შეუძლია საფუძვლის როლი შეასრულოს, რომელსაც დაეყრდნობა შინაარსისათვის აუცილებელი ენა.

კლაუდი, გენესი და ჰამაიანი ამბობენ, რომ საგნობრივი შინაარსისთვის აუცილებელი ენა მოიცავს 1) ტექნიკურ ლექსიკას („ტაქსონომია“, „ნუმერატორი“), 2) სპეციალურ გამონათქვამებს („არც ისე ხშირი“, „საერთო წინაპარი სახეობა“) 3) სიტყვათა პოლისემიურ მნიშვნელობას (გვარი, სახე), 4) სინტაქსურ მახასიათებლებს (პასიური კონსტრუქცია, რთული წინადადება) და 5) ენის ფუნქციებს, რომლებიც დომინირებენ გაკვეთილის გარკვეულ შინაარსობრივ არეალში (ინფორმირება, განსაზღვრა, ანალიზი, კლასიფიკაცია, წინასწარ ვარაუდი, ახსნა, დამტკიცება და ა.შ.). ეს ენობრივი უნარები საჭიროა მოსწავლეთათვის კონცეფციების დასაუფლებლად, კითხვების დასასმელად, გაგებულის ასახსნელად, დაუფლების დემონსტრირებისა და საგნობრივი შინაარსის შემდგომი სწავლებისათვის (კლაუდი და სხვები, 2000).

საგნობრივი შინაარსისათვის აუცილებელი ენა იქნება შინაარსთან შეთავსებადი, თუ შესაძლებელია მოსწავლეებს შორის ვერბალური ინტერაქციის მრავალფეროვანი შესაძლებლობა. ენას მხოლოდ მოსმენით, კითხვითა და წერით არ ვსწავლობთ. ახალი ენა რომ გამყარდეს, საჭიროა, რომ ის საუბარში გამოვიყენოთ, სანამ ის ჩვენი რეპერტუარის ნაწილი არ გახდება. CLIL მიდგომის მრავალმხრივი ბუნება შეიცავს დამატებით ფოკუსს მოსწავლეთა ინტერესებზე, თანატოლთა კოოპერაციულ მუშაობასა და კრიტიკული აზროვნების

ჩამოყალიბებაზე, სხვა მეთოდოლოგიურ სტრატეგიებთან ერთად. ეს ხელს უწყობს საგნობრივი შინაარსის სწავლას და ქმნის ახალ შესაძლებლობებს საგნობრივი შინაარსის შესახებ დისკუსიისა და სხვა ტიპის კომუნიკაციისათვის. ამ შესაძლებლობების ზრდა ხელს უწყობს ენის შესწავლას.

ამ ხედვას ეთანხმება უკუკავშირი, რომელიც პრაქტიკოსი CLIL მასწავლებლებისაგან მივიღეთ. როდესაც ვკითხეთ, თუ რა იყო, მათი აზრით, საგნის გაკვეთილზე ენის სწავლისათვის საჭირო ძირითადი ელემენტი, პასუხებში სპეციფიკური ენის სწავლის აქტივობებსა და დამხმარე მასალას თითქმის არასოდეს არ ასახლებდნენ. ამის მიუხედავად, ზოგიერთი ამგვარი მასალა მოცემულია თავის ბოლოში. თუმცა, ჯერ შევაჯამებთ, თუ რას ამბობენ CLIL მასწავლებლები. მომდევნო სია შემუშავდა დიდი გამოცდილების მქონე CLIL სპეციალისტთან, ***ლინდა ბოინტონთან***, თანამშრომლობით.

1. ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს შექმნა

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ენით ექსპერიმენტირება და არ უნდა ეშინოდეთ შეცდომების დაშვებისა. ნებისმიერი ასაკის მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რომ მანაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთი გარემოს შექმნაში, რომელშიც მისი თანაკლასელები თავს კომფორტულად იგრძნობენ - დაცინვის, სარკაზმისა და ფიზიკური აგრესიისგან თავისუფალი გარემოსი. ეს კეთდება კლასში წესების შემოღებითა და მათი დაცვით; პრობლემებთან დისკუსიების საშუალებით გამკლავებით; კონსტრუქციული კომუნიკაციის მცდელობებისათვის ხელშეწყობით; ასევე, სტუდენტთა წაქეზებით, გაანალიზონ და გამოასწორონ საკუთარი კომენტარები, ვერბალური და არავერბალური რეაქციები და საქციელი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გჯეროდეთ თქვენი მოსწავლეების წარმატებისა და უთხრათ ან აგრძნობინოთ ეს მათ!

2. მუდმივად გამოიყენეთ ერთი ენა

ყოველთვის შეეცადეთ სამიზნე ენის გამოყენებას. თავიდან, როდესაც საჭირო იქნება, მოსწავლემ შეიძლება CLIL ენაზე ნათქვამის შეჯამება თავის პირველ ენაზე გააკეთოს. შესაძლოა სტუმრის მოწვევა უსაფრთხოების საკითხების პირველ ენაზე განსახილველად. მაგრამ შუალედური ენის გამოყენება ექსტენსიური პროგრამის დასაწყისში და ისიც მცირე დოზით არის დასაშვები.

3. დასაწყისში დასაშვებია, რომ მოსწავლეებმა პირველი ენა გამოიყენონ

ელოდეთ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისაგან, რომლებიც პროგრამის დასაწყისში არიან, რომ თავდაპირველად პასუხებს მშობლიურ ენაზე გაგცემენ ხოლმე. ხშირად ისინი ვერბალურად ჩამოაყალიბებენ სამიზნე ენის სტრუქტურებს; მაგრამ, არ ელოდოთ სამიზნე ენაში სპონტანურ თვითგამოხატვის უნარს მესამე ან მეოთხე თვემდე. ამ პირველი თვეების განმავლობაში მოსწავლეები იმუშავებენ რეცეფციულ ენობრივ უნარებს. ისინი გაიგებენ უფრო და უფრო მეტს თქვენი ნათქვამისაგან, თუმცა სამიზნე ენაზე პასუხის გაცემა მათთვის არც ისე იოლი იქნება. პირველი ნახევარი წლის განმავლობაში ელოდეთ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისაგან, რომ ენებს აურევენ.

საშუალო და პროფესიული განათლების კლასებშიც აურევენ მოსწავლეები ენებს. ეს ხელს უწყობს კომუნიკაციას. მიაწოდეთ მათ საჭირო ფრაზები CLIL ენაზე და, თუ შესაძლებელია, დაწერეთ ისინი დაფაზე. ფრაზის გამოყენების შემდეგ ჩათვალეთ, რომ ის გაკვეთილის რეპერტუარის ნაწილია. იმის თავიდან ასარიდებლად, რომ მოსწავლეები მხოლოდ თქვენზე, როგორც ენის წყაროზე, იყვნენ დამოკიდებული, ხანდახან სთხოვეთ მოსწავლეებს, რომლებიც სიტყვებს ვერ პოულობენ, რომ სხვა გზით გადმოგცენ სათქმელი. სთხოვეთ სხვა მოსწავლეებს დახმარება ან ასწავლეთ მოსწავლეს ლექსიკონის გამოყენება. ახალ თემასთან დაკავშირებული საჭირო ენობრივი ერთეულები შეგიძლიათ გაკვეთილის დაწყებამდე გააკრათ კედელზე ან დაწეროთ დაფაზე.

არ შესთავაზოთ წამახალისებლები, როგორიცაა განაღდებადი საკლასო ვალუტა, სამიზნე ენაზე ლაპარაკის სანაცვლოდ. ეს კონტრპროდუქტიულია. ეს შექმნის ისეთ სიტუაციას, რომელშიც მოსწავლის ერთადერთი მოტივაცია ენის სწავლისას ჯილდოს მიღება იქნება. თქვენი მიზანი კი ისაა, რომ სტუდენტს გაუჩნდეს სწავლისა და ლაპარაკის სურვილი შიდა მოტივაციიდან და „შიდა“ ჯილდოდან, რომელსაც სწავლის შედეგი მოიტანს. მთავარი წამახალისებელი იქნება საგნობრივი შინაარსის სწავლა და სამიზნე ენაზე კომუნიკაციით მიღებული სიამოვნება.

4. ილაპარაკეთ ნელა და გარკვევით

ახალი ენისა და სტრუქტურების წარდგენისას ისაუბრეთ ძალიან გარკვევით. მაგრამ ფრთხილად იყავით, რათა არ გადააჭარბოთ სიტყვის წარმოთქმისას ან არ ილაპარაკოთ არაბუნებრივად ნელა. დაგეგმვისას გაითვალისწინეთ, თუ რამდენ ახალ სიტყვას ან სტრუქტურას წარუდგენთ მოსწავლეებს ერთ ჯერზე. ისინი თავს უნდა გრძნობდნენ გამოწვევის წინაშე, მაგრამ კომფორტულად და არა ფრუსტრირებულად ან დათრგუნულად.

5. გამოიყენეთ ენის შესაფერისი დონე

თავი აარიდეთ სტრუქტურებს, რომლებიც თქვენი მოსწავლეებისათვის ზედმეტად რთული იქნება, მაგრამ ისაუბრეთ გრამატიკულად გამართულად. თქვენი მოსწავლეების გამოწვევის დონის შესანარჩუნებლად გამოიყენეთ იმ დონის ენა, რომელიც ერთი ნაბიჯით წინ იქნება კლასის დონეზე - იმდენით წინ, რომ მუშაობა მოუწიოთ, მაგრამ ძალიან არ გაუჭირდეთ.

6. აზრის განსამტკიცებლად გამოიყენეთ მიმიკა, ჟესტები და სურათები

ხშირად გამოყენებული პრაქტიკის ნაცვლად გამოიყენეთ საპირისპირო მიდგომა: დაკვირვებით მოასმენინეთ მოსწავლეების ახალი სიტყვები, რათა მათ აღმოაჩინონ სიტყვის მნიშვნელობა სამიზნე ენაზე, სანამ ვიზუალურ დამხმარეებს გამოიყენებთ. ამგვარად იდეა პირველად სამიზნე ენაზე რეგისტრირდება.

7. გამეორება საჭიროა!

გამეორება დაეხმარება მოსწავლეებს მნიშვნელობის აღქმასა და უსაფრთხოების შეგრძნების შექმნაში. რეცეფციული ენობრივი უნარების შემუშავებასთან ერთად ისინი თვითონ დაიწყებენ ახალი ლექსიკის თავისთვის გამეორებას. როდესაც ისინი უფრო კომფორტულად იგრძნობენ თავს ენასთან, ლექსიკას ხმამაღლა გაიმეორებენ და უფრო სპონტანურად ჩამოაყალიბებენ ხოლმე სათქმელს. განსაკუთრებით მცირე ასაკის მოსწავლეებთან ყოველდღიური რუტინული სამუშაოები დღის დასაწყისში დიდად დაგეხმარებათ.

8. გახადეთ გაკვეთილი აზრიანი!

გაკვეთილის ენა, თემები და შინაარსი მოსწავლეთათვის რელევანტური და საინტერესო უნდა იყოს. თავიდან ეს ნიშნავს მოსწავლეებზე, მათ ოჯახებზე, სკოლასა და საზოგადოებაზე ფოკუსირებას. მოგვიანებით შეიძლება დაემატოს მუსიკა, ადგილობრივი პრობლემები, სკოლის ღონისძიებები, გარემო, პრობლემები საზოგადოებაში, საზოგადოებრივი მოღვაწეები, სპორტი, მოდა, ცხოვრების ჯანსაღი სტილი და ა.შ.

ასევე, ისეთ პრობლემებზე კონცენტრაციით, რომელთა გადაწყვეტასაც კრიტიკული აზროვნება და თანატოლთა მცირე ჯგუფების თანამშრომლობა სჭირდება, მოსწავლეები სწავლის პროცესში უფრო ერთვებიან და უფრო ინტერესდებიან. მოსწავლეთა გამოცდილების, პირადი ინტერესებისა და ბექგრაუნდის გათვალისწინებით და მათთვის გამოწვევის შექმნით,

მართლა დაფიქრდნენ, სკოლაში შესრულებული სამუშაო მოსწავლეთათვის უფრო მნიშვნელოვანი, ავთენტური და ცხოვრებისათვის რელე-ვანტური ხდება.

9. შესთავაზეთ ენის მოდელების ნაირსახეობები

მოსწავლეებს სჭირდებათ CLIL ენის მოსმენა სხვადასხვა ადამიანისაგან სხვადასხვა კონტექსტში. სკოლის ენა ყოველთვის არ შეეფერება ყოველდღიურ სიტუაციებს. მოიწვიეთ კლასში სტუმრები და მოაწყვეთ საველე გასვლები. ჩამოაყალიბეთ კლასებს შორის სამეგობრო პროგრამა, დააწყვილეთ ახალგაზრდა მოსწავლეები შედარებით უფროსებთან და უზრუნველყავით, რომ ისინი კვირაში ერთხელ ან ორჯერ შეხვდნენ. შეუერთდით საერთაშორისო პროექტებს, როგორიცაა „მეცნიერება მსოფლიოს მასშტაბით“, ან შექმენით პროექტი სხვა ქვეყნის სკოლასთან თანამშრომლობით, სადაც CLIL ენა პირველი ან მეორე ენაა. შექმენით დავალებები, სადაც მოსწავლეებს დასჭირდებათ მშობლიური ენის რესურსების გამოყენება, მაგალითად, მუსიკა, ვიდეოკლიპები, ბლოგები და მთავარი ვებგვერდები.

10. შექმენით მრავალი შესაძლებლობა ენის გამოსაყენებლად

პროაქტიური სტრატეგიები, როგორებიცაა ჯგუფური მუშაობა, წყვილებად მუშაობა და აქტივობის ცენტრები, უფრო ეფექტურია, ვიდრე მხოლოდ წერილობითი სავარჯიშოების კეთება, რომელთაც მოგვიანებით შეასწორებთ თითოეულისათვის ცალ-ცალკე. მოსწავლეთა ცოდნის არსებული დონის და მათი დამოკიდებულებების გაგებითა და სწავლის განსხვავებული სტილების გათვალისწინებით შეგიძლიათ შეიმუშავოთ პროგრამები და აქტივობები, რომლებიც მრავალ განსხვავებულ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. იდეები, გაკვეთილები და აქტივობები მოსწავლეთათვის რელევანტურ კონტექსტში უნდა იყოს წარდგენილი.

მოსწავლეები ენას გამოყენებით ისწავლიან. თანატოლთა კოოპერაცია (ჯგუფურად ან წყვილებში), რომელიც ფოკუსირებულია პრობლემების გადასაწყვეტ აქტივობებზე, განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება იყოს. ეს მათ აძლევს საშუალებას, შეიმუშავონ თანამშრომლობითი უნარები და შეიძინონ თავდაჯერებულობა საკუთარი იდეებისა და აზრების თანატოლებისთვის გასაზიარებლად.

11. კომუნიკაცია ძირითადი მნიშვნელობისაა

უფრო მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა დაამყარონ კომუნიკაცია, ვიდრე ის, რომ ვიფიქროთ იდეალური გრამატიკის შექმნაზე. მოსწავლემ ლაპარაკისას დადებითი უკუკავშირი უნდა მიიღოს, ისევე, როგორც სწორად ლაპარაკისთვის. მასწავლებელს შეუძლია სწორი სიტყვის ან ფრაზის მოდელირება, ან არასწორი წინადადების სწორად გადაკეთება. მოსწავლეთა პროგრესთან ერთად, შეგიძლიათ მოუწოდოთ მათ თვით ან თანატოლთა მიერ შესწორებისაკენ. როდესაც მოსწავლე შეასწორებს შეცდომას, გააგრძელეთ დიალოგი. სადაც შესაძლებელია, მოსწავლეებმა თვითონ უნდა დაიწყონ საუბრის წამართვა. ეს ხელს უწყობს მათი საკლასო ოთახის კულტურის განვითარებას, სადაც მოსწავლეები უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარი სწავლისადმი.

12. შექმენით დიდი რაოდენობით საშუალება ოთხივე ენობრივი უნარის განვითარებისათვის - მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა

თითოეული ენობრივი უნარი აძლიერებს და ეხმარება დანარჩენებს. მონახეთ ოთხივე უნარის ერთ აქტივობაში ან აქტივობათა მიმდევრობაში კომბინირების შესაძლებლობები. მაგალითად, გლობალიზაციას თუ განიხილავთ, ჯერ ჩამოაწერინეთ მოსწავლეებს თავიანთი აზრები გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე. შემდეგ წყვილებად განაწილებულებმა წაიკითხონ პარტნიორების ჩანაწერები. შემდეგ ორ მოსწავლეს შეუძლია შეაერთოს პასუხები ერთ ჩანაწერში. მათ შეუძლიათ ივარჯიშონ დასკვნის პრეზენტაციაში. შემდეგ ერთი წყვილი პრეზენტაციას გააკეთებს მეორესთან. ეს ორი წყვილი განიხილავს განსხვავებებს და შეეცდება ერთი საერთო ტექსტი დაწეროს.

13. იმუშავეთ სისტემატურად სკოლაში გამოყენებული ყველა ენისთვის თანასწორი სტატუსის შესაქმნელად

ყველა ენა, რომელიც ისწავლება ან გამოიყენება სკოლაში, იმსახურებს თანაბარ ყურადღებას. მაგალითად, უნდა გამოიყენოთ შესაძლებლობები განცხადებების CLIL ენაზე გასაკეთებლად. მოსწავლეების შემოქმედებითმა წრეება შეიძლება მოამზადონ წარმოდგენები CLIL ენაზე. CLIL ენის ღირებულების მოდელირება შეგიძლიათ მოსწავლეებსა და კოლეგებთან ამ ენაზე ლაპარაკით საკლასო ოთახის გარეთ, დერეფნებში ან კაფეტერიაში. უცხოელ, CLIL ენაზე მოლაპარაკე თანატოლებთან და არა-CLIL მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებები დაეხმარება მოსწავლეებს ენის სწავლის სარგებლიანობის გაგებაში. მოსწავლეთა უმრავლესობისათვის საერთაშორისო კომუნიკაცია საინტერესოა. სკოლის გარემოში ენების

შემოტანა შესაძლებელია სკოლაში დამატებითი ენების, მათ შორის მოსწავლეთა მშობლიური ენ(ებ)ის შემოტანითაც შეკრებებისა და გამოფენების დროს.

სკოლის დირექტორმა და დანარჩენმა პერსონალმა უნდა მოახდინონ CLIL პროგრამის მხარდაჭერის დემონსტრაცია. ეს ყველაზე უკეთ მიიღწევა, როდესაც CLIL და არა- CLIL მასწავლებლები თანამშრომლობენ და როდესაც ორივე ჯგუფი ამჩნევს და სახალხოდ აღნიშნავს ერთმანეთის მიღწევებს და ეძებს საშუალებებს, მიაღწიონ ამას ერთობლივად. თუმცა, CLIL პროგრამის გარშემო ელიტური აურის შექმნა კონტრპროდუქტიულია, რადგან ის ძირს უთხრის პროგრამის სტატუსს მოსწავლეთა და პერსონალის თვალში.

14. წამოაყენეთ მაღალი, მაგრამ რეალისტური მოლოდინები

არ შეიძლება თქვენი მოსწავლეების შესაძლებლობების სათანადოდ შეუფასებლობა. გქონდეთ მაღალი, მაგრამ რეალისტური მოლოდინები. ამავდროულად, მოსწავლეები უნდა ხედავდნენ, რომ ეს მაღალი მოლოდინები მიღწევადი და სამართლიანია. ასევე, იფიქრეთ უარყოფით მოლოდინებზე, რომლებიც მოსწავლეთა მიმართ გაქვთ და ჩაანაცვლეთ ისინი დადებითებით. რაც მთავარია, ელოდეთ თქვენი მოსწავლეებისაგან ძალისხმევის დახარჯვასა და დიალოგს სწავლის პროცესთან მიმართებით. თუ მოსწავლეებს უჭირთ მოლოდინის ასრულება, დაეხმარეთ მათ. მაღალი მოლოდინები ეხმარება მოსწავლეებს სკოლის მნიშვნელობის გააზრებაში: ისინი ეხმარებიან მოსწავლეებს, კონცენტრირება მოახდინონ სწავლაზე და მოიქცნენ უკეთ.

მაგალითად, თუკი მოსწავლეები წერილს სწერენ პოლიტიკოსებს, მათგან უნდა ელოდნენ ენის ცოდნის საკმარის დონეს, რომ პრობლების გადასაწყვეტი რეალური შეთავაზება გააკეთონ. ეს შეიძლება გულისხმობდეს მათთვის წერილისათვის საჭირო ზოგადი სტრუქტურისა და დისკურსის პატერნის მიწოდებას. თუმცა მოსწავლეების მიმართ მოლოდინი იქნება ენისა და სტილის დახვეწა, ისევე, როგორც თავიანთი შეთავაზებების ლოგიკურობისა და რეალისტურობის ანალიზი. შეგიძლიათ მათ დაუსვათ კითხვები, თუ საიდან მოვა ფული შეთავაზებული ცვლილებების განსახორციელებლად, ვინ იქნება ამ ცვლილებების მენეჯერი და რა მტკიცებულებები აქვთ თავიანთი შეთავაზების გასამყარებლად.

15. იპოვეთ გზა მოსწავლეთა ძალისხმევისა და წარმატების აღიარებისათვის

დააჯილდოეთ მოსწავლე ძალისხმევისათვის. ასევე, დააჯილდოეთ თანამშრობლობა, თანატოლთა სწავლება, თვითკმარობა, სწავლის პროცესის ანალიზი, დავალების შესრულება,

დაგეგმილი შედეგების მიღწევაში პროგრესი, ისევე, როგორც მიღწევები ყოველ საგანში. ეს ყოველ მოსწავლეს სჭირდება. შეარჩიეთ კარგი მომენტი ამისათვის.

თავი აარიდეთ მუდამ „ყოჩაღ, კარგია!“-ს თქმას - ეს ცარიელი ქების სიტყვებია. ეფექტური აღიარება უფრო კონკრეტულია და შეიცავს როგორც ანალიზს, ისე სახალხო აღნიშვნას. მიეცით მოსწავლეებს შანსი, რომ ილაპარაკონ იმაზე, თუ როგორ მიაღწიეს შედეგს. მოსმენა აღიარებას უთანაბრდება. გამოაკარით მოსწავლის ნამუშევრები საკლასო ოთახში და დერეფნებში. გამოფინეთ პროექტები ბიბლიოთეკაში. მოიწვიეთ ვინმე, მაგალითად, დირექტორი, სამუშაოს სანახავად და შესაფასებლად.

გამოაცალკევეთ ქება და რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გააგრძელოს. ამისთვის ყველაზე მარტივია „მაგრამ“-ზე უარის თქმა. მაგალითად, გადაახტით მომდევნო წინადადების მეორე ნახევარს. „შენი გამოყენებული გრაფიკი და საკვანძო შეტყობინებების გამეორება დაეხმარა პრეზენტაციის წარმატებულობას, მაგრამ ფრთხილად იყავი, გამეორებამ არ ჩაგითრიოს“. სიტყვა „მაგრამ“ განმტკიცებას ანეიტრალებს.

ქვემოთ არის რამდენიმე მაგალითი, როგორ შეიძლება საგნის მასწავლებლები დაეხმარონ მოსწავლეებს ენობრივი საკითხების შესწავლაში. წიგნში ამის კიდევ მრავალ მაგალითს შეხვდებით.

მაგალითისთვის, ისტორიაში ხშირად გამოიყენება წარსული დრო. თუ ფიქრობთ, რომ მათ წარსული დრო ენის გაკვეთილზე გაიარეს, მაგრამ შეიძლება არაწესიერ ზმნებთან ჰქონდეთ პრობლემა, მოსწავლეთა დასახმარებლად შეგიძლიათ შექმნათ ზმნების ცხრილი იმ ზმნების გამოყენებით, რომლებიც დიდი ალბათობით შეგხვდებათ ისტორიაში. როდესაც მოსწავლეები არაწესიერი ზმნის გამოყენებისას შეცდომას დაუშვებენ, შესთავაზეთ მათ, რომ თავად შეასწორონ შეცდომა ზმნების ცხრილის გამოყენებით. იხილეთ მაგალითი:

present	Past simple	Past participle
be	Was/were	been
become	became	Become
fall	Fell	fallen
hold	Held	Held
Steal	Stole	Stolen
Take	Took	Taken
Win	Won	Won
…	…	…

ვერბალური ფრაზები	დეფინიცია	მაგალითი
hand down	• leave as an inheritance	He handed down the watch to his daughter.

	• pronounce formally	The decree was handed down from the head office.
hand over	• yield control of	She handed over power to her son.
	• give something to someone who is usually expecting it	After a 40-day siege they handed over the castle to the Goths. He handed over the evidence to the police.
come across	• find by chance	I came across the oil spill as I was hiking along that isolated stretch of coastline.
come along with	• accompany	He came along with us to the party.
	• make progress	How is she coming along with the project?
come down with	• become ill with	My brother came down with a cold and won't be joining us.
…	…	…

დაფის ან კლასის არჩეული კუთხე გამოიყოფა „სიტყვის კედლისათვის“, რომელიც 10-20 სიტყვას შეიცავს, რომლებიც, მოსწავლეთა აზრით, ყველაზე მეტად სჭირდებათ მოცემულ კვირაში. ყოველდღე მოსწავლეებს მოუწოდეთ, დაამატონ ან გამოაკლონ „სიტყვების კედელს“ სიტყვები. შეგიძლიათ ჰკითხოთ მათ, რატომაა მოცემული კითხვა ისე მნიშვნელოვანი, რომ კედელზე დაწერას იმსახურებს. ზოგიერთ მოსწავლეს ენდომება ამ სიტყვების თავიანთ პირად ლექსიკონში ჩაწერა მოცემული საგნისათვის (შესაძლოა გაფარდოვდეს და ფრაზებსაც მოიცავდეს).

კიდევ ერთი ვარიანტია საკვანძო შინაარსი და ლექსიკა პასაჟის წაკითხვის ან წერილობითი დავალების მიცემის წინ წარუდგინოთ მოსწავლეებს გრაფიკული ორგანაიზერის სახით. მაგალითად:

სიტყვების კატეგორიების მიხედვით დაჯგუფება(მაგ. ზმნები, სახელები, იდიომები; ხელსაწყოები, მასალა ოთახის ინტერიერისათვის, მასალა ოთახის ექსტერიერისათვის; მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული, ფრინველის ხორცი, წითელი ხორცი, თევზი) ხელი ეწყობა აღქმას. მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ მესამე თავში, 97-ე გვერდზე.

მოსწავლეებს, ასევე, შეგიძლიათ მისცეთ 25-მდე სიტყვა, დაკავშირებული მიმდინარე თემასთან, ამობეჭდილი დასარიგებელ ფურცლებზე. შეგიძლიათ სთხოვოთ, დაჭრან ეს ფურცლები ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად ისე, რომ ყოველი სიტყვა ფურცლის ცალკე ნაჭერზე იყოს. მოსწავლეები ამის შემდეგ იმუშავებენ სიტყვების კატეგორიზაციაზე მოცემული საგნის საკვანძო კონცეფციების მიხედვით. ეს სიტყვების ჯგუფები იქნება როგორც ლექსიკის, ისე საკვანძო კონცეფციების მიმოხილვა.

მოსწავლეთა გრაფიკულ ლექსიკონებამდე მიყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ლექსიკონები ლექსიკას კონცეფციების, თემების ან ობიექტების მიხედვით აჯგუფებს. ამას გარდა, დაწერილ სიტყვებს მოსდევს ილუსტრაციები.

მეცნიერებაში (საბუნებისმეტყველო საგნებში) ატმოსფეროს შესწავლისას, მომდევნო ილუსტრირებული და წერილობითი ტექსტი, სავარჯიშოს მაგალითთან ერთად, ხელს უწყობს როგოც ენის, ისე საგნობრივი შინაარსის სწავლას.



შეხედეთ ილუსტრაციას და შექმენით წინადადებები. გამოიყენეთ შედარება, მაგალითად „უფრო მაღალი, ვიდრე; უფრო დაბალი, ვიდრე; უფრო სწრაფი, ვიდრე; უფრო თხელი, ვიდრე)

1) დედამიწაზე ყველაზე მაღალი მთა (8 850 მ)
2) წვიმის ღრუბლები (0.5–3 კმ)
3) ბუმბულისებრი ღრუბლები (8–11 კმ)
4) ოზონის შრე (15–35 კმ)
5) ტროპოსფერო (20 კმ-მდე)
6) სტრატოსფერო (50 კმ-მდე)
7) თვითმფრინავი, რომელიც დაფრინავს 10 კმ სიმაღლეზე
8) სატელიტი (100 კმ)
9) მეტეორიტები, რომლებიც იწვებიან ატმოსფეროში (80–100 კმ)

მაგალითი:
თვითმფრინავები დაფრინავენ უფრო დაბალ სიმაღლეზე, ვიდრე სატელიტები.

6.2. ენის გაკვეთილებზე საგნობრივი შინაარსის სწავლის ხელშეწყობა

კითხვა: თუკი აღქმა და მნიშვნელობის მქონე შინაარსი წამართავს ენის სწავლას, ლექსიკისა და გრამატიკის სწავლებაზე რას გვეტყვით?

პასუხი: ჩვენ ვაგრძელებთ ლექსიკისა და გრამატიკის სწავლებას, მაგრამ ვცდილობთ სხვანაირად შევფუთოთ ისინი. ენის მასწავლებლები ყოველთვის მუშაობდნენ აზრიანი კონტექსტის შესაქმნელად. CLIL გვთავაზობს ენის სწავლების უფრო ფართო საშუალებებს. რაკი ვიცით, რომ

მოსწავლეები, ძირითადად, საგნის სწავლით არიან მოტივირებული და თვითონ ენის ხათრით ენის სწავლა ნაკლებად უნდათ, სჯობს იმის გამოკვლევა, თუ როგორ შეიძლება საგნობრივი შინაარსის სწავლის საშუალებების გამოყენება ენის გაკვეთილებზე.

CLIL პროგრამებში მოსწავლეთა ენა სწრაფად ვითარდება. საგნის მასწავლებლები ენის მასწავლებლების პარტნიორები არიან. ისინი მოსწავლეებს ენის სწავლის დამატებით შესაძლებლობებს აწვდიან. CLIL მოსწავლეები თითქმის ყოველთვის უკეთ და უფრო სწრაფად ეუფლებიან ენას, ვიდრე ისინი, ვინც მას მხოლოდ საგნად სწავლობენ. ამის მიუხედავად, მაინც საჭიროა ენის კურიკულუმის სწავლება და ხშირად გამდიდრებაც.

ენისა და საგნის მასწავლებელთათვის კარგი პრაქტიკაა ყოველ კვირა ენის შედეგებზე/მიზნებზე შეთანხმება. საგნის მასწავლებლები პასუხისმგებლობას იღებენ, დაეხმარონ მოსწავლეებს ამ მიზნების/შედეგების მიღწევაში. ამგვარად, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, საგნების მასწავლებლები მოელიან რაიმე სახის მხარდაჭერას ენის მასწავლებლებისაგან მოსწავლეთათვის შინაარსის კურიკულუმის სწავლებაში. თუმცა, ენის მასწავლებელთა უმრავლესობას რეალურად მხოლოდ ერთი ან ორი საგნის სწავლების მხარდაჭერა შეუძლია.

პრაქტიკულ დონეზე, ხდება ცვლილება ფიქრისა და პრაქტიკაში გამოყენების დონეზე. ენის მასწავლებელი იყენებს ენის სახელმძღვანელოს, როგორც მიმართების ინსტრუმენტს, და რეგულარულად მუშაობს შინაარსობრივი გაკვეთილის მასალასთან ენის სწავლებისას. ყველაზე ხშირად მასალას საგნის მასწავლებელი აწვდის, ან ენის მასწავლებელი სთავაზობს. მასალას სჭირდება იმგვარი გადაწერა, რომ აქცენტი გაკეთდეს, მაგალითად, სინტაქსზე ან გრამატიკაზე.

მაგალითად, თუ ენის კურიკულუმი მოითხოვს კავშირებითისა და თურმეობითის სწავლებას, მეცნიერებების (საბუნებისმეტყველო საგნების) გაკვეთილის ტექსტი კლიმატის ცვლილებაზე შეიძლება ჩართოთ ენის გაკვეთილზე. მაგალითად:

რა ზომებს მიიღებს მთავრობა?

რა ზომებს მიიღებდა მთავრობა, ტემპერატურას ზრდა რომ განეგრძო?

რა გავლენა ექნება ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაზე?

რა გავლენა ექნებოდა ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაზე?

რა უნდა გაითვალისწინოთ კლიმატის შეცვლის პოტენციური ხარჯების შეფასებისას?

რა უნდა გაეთვალისწინებინათ კლიმატის შეცვლის პოტენციური ხარჯების შეფასებისას?

ამის მსგავსად, თუკი მოსწავლეები ბიოლოგიის გაკვეთილზე ზედმეტი ჭამის შედეგებს სწავლობენ, და თუ „თუ“-იანი ფორმები არის ენის კურიკულუმის ნაწილი, შეგიძლიათ

სთხოვოთ, რომ გამოიყენონ ამგვარი წინადადებები მოცემული საჭმელების ზედმეტად დიდი რაოდენობით მიღების შედეგებზე დასაწერად: „ზედმეტად ბევრ ფორთოხლის წვენს თუ დავლევ, შეიძლება გამოიწვიოს სიმსუქნე და კბილების გაფუჭება“...

თუ გასავითარებელი ენობრივი უნარი შეიცავს შედარებასა და კონტრასტს, საგნის მასწავლებელმა უნდა მოგაწოდოთ დიაგრამები და გრაფიკები ენის გაკვეთილზე ვერბალური და წერილობითი ანალიზისათვის.

კიდევ ერთი ვარიანტია ენისა და საგნობრივი შინაარსის (მაგ. ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) ერთობლივი პროექტის ორგანიზება მოსწავლეთათვის. ამ შემთხვევაში, მაგალითად, ისტორიის მასაწვლებელი შეაფასებს საბოლოო პროდუქტს ისტორიისა და სწავლის უნარების შედეგების მიხედვით. შეფასების კრიტერიუმებში შეიძლება შედიოდეს წყაროების მინიმალური რაოდენობა, ფაქტების სიზუსტე, მტკიცებულებების პრეზენტაციის ეფექტურობა, სხვადასხვა პერსპექტივის წარმოდგენა, არგუმენტების ლოგიკური აგება და წინასწარ შეთანხმებული სტრუქტურისა და ფორმატის მიყოლა. ენის მასწავლებელი კი შეაფასებს ენის შედეგებს, გრამატიკული პუნქტებისა და ლინგვისტური მახასიათებლების გამოყენებას, რომლებიც ამ კვირაში ისწავლებოდა. მაგალითად, მოსწავლე შეიძლება ვალდებული იყოს, ზმნის რომელიმე დრო ათჯერ გამოიყენოს, ან „თუ“-ფორმები, ფრაზეოლოგია ან მიმღეობა.

თუ რთული ქვეწყობილი წინადადებებია (როდესაც, მას მერე, რაც, თუმცა, სადაც და ა.შ.) მოცემული კვირის ენის კურიკულუმის ფოკუსი, მათი საშუალებით შესაძლოა საგნის მასწავლებლის მოცემული მოკლე წინადადებების დაკავშირება.

მაგალითად:

> საწყისი პუნქტი:
>
> პლანეტა სატურნის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შესაძლებელია. სატურნის სარტყლის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.
>
> პირველი ნაბიჯი:
>
> პლანეტა სატურნის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შესაძლებელია; თუმცა, მისი სარტყლის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.
>
> კიდევ ერთი ნაბიჯით წინ:
>
> პლანეტა სატურნის დანახვა შეუიარაღებელი თვალით შესაძლებელია; თუმცა, მისი სარტყლის დასანახად ტელესკოპია საჭირო.

თუ მოცემული კვირის ენის კურიკულუმის ფოკუსი მოჯადოებული წრეა, მეცნიერების ან ბიოლოგიის მასწავლებელს შეუძლია მოგაწოდოთ რამდენიმე მაგალითი საკითხზე, რომელიც

შეისწავლება; ვთქვათ - შიდსი. დაიწყეთ დაფაზე მიმართულების ისრიანი წრის დახატვით. სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რომ ეს წრე მათი ცხოვრების ტიპურ დღეს გამოხატავს. ჰკითხეთ, რა გრძნობას იწვევს ეს მათში. მათი იდეები დაწერეთ დაფაზე: „უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნებას ქმნის“, „მოსაწყენია“, „არსად არ მიყავხარ“, „არაა საინტერესო“, „გალიაში დამწყვდეული ვირთხის შეგრძნებას იწვევს“, „უაზრობის შეგრძნებას იწვევს“, „კონტროლის არქონა“. ჰკითხეთ, რა მოხდებოდა, თუ რაიმე მოულოდნელი ცდუნება ან პრობლემა დაემატებოდა წრეს. მაგალითად: რა მოხდებოდა, თუ მშობლები შოკოლადის ფაბრიკაში იმუშავებდნენ და ყოველ ღამე შოკოლადის ნამტვრევებით სავსე დიდ ყუთს მოიტანდნენ უფასოდ? რას იზამდით, თუ ყოველ საღამოს სახლში მისვლისას ხმაურიანი მეზობელი მუსიკას მხოლოდ 5 წუთით ჩაუწევდა ხმას ყოველ თხოვნაზე? ამგვარი კითხვებით გენერირებული იდეები დაიწერებოდა დაფაზე და საბოლოოდ შეძლებდით მოჯადოებული წრის იდენტიფიცირებას.

შემდეგი ნაბიჯისთვის დაუწერეთ მოსწავლეებს დაფაზე შემდეგი სიტყვები:

„არა“-ს არ თქმა სირცხვილი ინტოქსიკაცია ინფექცია
შიში ცოდნის არქონა დაავადება პრეზერვატივების გამოუყენებლობა
აივ სურვილი სიღარიბე თანატოლთა წნეხი „მაგარი ტიპობა“
პოპულარულობის სურვილი STD (ვენერიული დაავადება)

სთხოვეთ მოსწავლეებს, იმუშაონ ოთხკაციან ჯგუფებად აივ-ინფექციის მოჯადოებული წრის საილუსტრაციო დიაგრამის შესაქმნელად, ზემოთ მოცემულთაგან ოთხი სიტყვის ან ფრაზის გამოყენებით. თითოეულმა ჯგუფმა უნდა წარადგინოს თავისი დიაგრამა და ახსნას ოთხივე ტერმინი. ჯგუფის ყოველმა წევრმა დიაგრამის ერთი ნაწილი უნდა წარადგინოს.

აირჩიეთ ერთი დიაგრამა და შექმენით თავის გართმევის სტრატეგიები და პრობლემის გადაწყვეტისსს გზები მოჯადოებული წრის თითოეულ ელემენტთან გასამკლავებლად. მოცემულია მაგალითი:



ეს იმის შანსიცაა, რომ განიხილოთ განსხვავება თავის გართმევის სტრატეგიებსა და პრობლემების გადაწყვეტის გზებში.

მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ცხოვრების მოჯადოებული წრეებიც გამოიკვლიონ. დაფიქრდნენ ისეთ საკვანძო სიტყვებზე, როგორებიცაა: თამბაქო, დესტრუქციული ურთიერთობები, საყიდლები ან მცირე ფიზიკური ვარჯიში. დავალება იქნება ისეთივე საორგანიზაციო დიაგრამის შექმნა, როგორიც ზემოთაა მოცემული. მეორე ნაბიჯი იქნება ექვსი აბზაცის დაწერა: შესავალი; თითო აბზაცი წრის თითოეულ ელემენტზე, ჯერ ელემენტის ერთ წინადადებაში ახსნით და მერე გადაწყვეტის ან თავის გართმევის სტრატეგიის შეთავაზებით და დასკვნა. ამ დავალებას შეაფასებს ენის მასწავლებელი ენისა და თხზულების თვალსაზრისით, ხოლო ბიოლოგიის ან მეცნიერების მასწავლებელი - გამონათქვამების სიზუსტისა და კრიტიკული აზროვნების სიღრმის მიხედვით.

ლიტერატურული ნაშრომის მოსწავლეებთან ერთად განხილვისათვის მომზადებისას ენის მასწავლებელს შეუძლია ისტორიის ან გეოგრაფიის მასწავლებელთან ერთად იმუშაოს ისტორიული ან გეოგრაფიული კავშირების მოსაძებნად. ორივე დარგი ხშირად დიდ გავლენას ახდენს ნაწარმოების განვითარებაზე.

ლექსიკა ენისა და შინაარსის დასაკავშირებლად

ბავშვებო, რას გაგონებთ ეს?

არის რაიმე კავშირი სხვა გაკვეთილთან?

როგორ შეიძლება ამ ზმნების გამოყენება გეოგრაფიაში ან ისტორიაში ნასწავლი რომელიმე საკითხის

შეადარეთ ამ რომანის ერთ გვერდზე გამოყენებული ზედსართავი სახელები მეცნიერების სახელმძ
გამოყენებას (სიხშირე, ტონი, ორიგინალურობა, გამეორება).

თქვენ ამ კვირაში მეცნიერების გაკვეთილზე ძვლები შეისწავლეთ. ჩვენ შემოქმედებით წერაზე ვა
წარმოიდგინეთ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ხალხს ძვლის სხვადასხვა სტრუქტურა აქვს. ყოველ ქვეყა
რამდენიმე ძვალი, რომლებიც გაცილებით გრძელი ან გაცილებით მოკლეა საშუალო სტატისტიკ
ძვლებისაგან. აღწერეთ, როგორი შესახედავი იქნებოდნენ ადამიანები ორი ასეთი ქვეყნიდან და როგ
მათ სხვა ძვლებს შეცვლა, რომ შეძლებოდათ ამ გრძელი ან მოკლე ძვლების დაჭერა. შემდეგ აღწერეთ ს
ორი ადამიანი სხვადასხვა ქვეყნიდან ხვდება ერთმანეთს და საერთო ამოცანის შესრულებას ცდილობს.

ჩვენ ვსწავლობთ რეკომენდაციების გაკეთებას. აირჩიეთ ისტორიული პიროვნებები. დაასახელეთ
რაც მათ გაუკეთებიათ და გამოიყენეთ რეკომენდაციის გასაკეთებლად. მაგ.: „ნაპოლეონ, შენ რამდენ
კანონი შექმენი. მეტი დრო დახარჯე კანონების წერაზე და ნაკლები ომზე“. ახლა აიღეთ თქვენი რ
გადააკეთეთ ისე, რომ კადნიერების გამო არ დაგიჭირონ და მართლა მოგისმინონ. მაგალ
უდიდებულესობავ, თქვენ შესანიშნავი კანონმდებელი ხართ. თქვენი წყალობით სამყარო გაციდ
ადგილია. თქვენ სამუდამოდ ემახსოვრებით თქვენი კანონების წყალობით. ალბათ, გონივრულ
ეროვნული რესურსი ჩადოთ კანონების შექმნაში.“

ენის მასწავლებლებს შეუძლიათ ელექტრონული დამხმარე მასალა იპოვონ ისეთ საგნობრივ თემებზე, რომელთა ენის სასწავლად ადაპტირებაც მარტივი იქნება. მაგალითად, სიტყვა „ანიმაციის“ ჩაწერით ისეთ თემასთან ერთად, როგორიცაა მჟავე წვიმები ან ნახშირბადის ნაკვალევი, ნებისმიერი დიდი საძიებო სისტემა უამრავ სურათსა და ანიმაციას მოგიძებნით ამ თემაზე. ზოგი ანიმაცია მცირე ვიდეოების ან სლაიდებისაგან შედგება და სიტყვები არ ახლავს, მაგრამ შეიძლება ხმის ეფექტებს შეიცავდეს. მათი გამოყენება შეიძლება ნებისმიერი ენის სწავლებისას. მოსწავლეებს შეუძლიათ ამ ანიმაციებისთვის ნარატივის მოფიქრება. იმ

ანიმაციებს, რომლებიც ტექსტს ან ლაპარაკს შეიცავს, გამოიყენებთ ენის ადაპტაციისათვის განსხვავებული მიზნებით. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ გადაიყვანონ ენა განსხვავებულ რეგისტრში, როგორიცაა MSN კომუნიკაცია, სიტყვები, რომლებსაც იყენებენ ახალგაზრდები, ბროშურის ტექსტი ყველასათვის. პირველი ენისათვის მიძღვნილ გაკვეთილზე მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ CLIL ენის ანიმაცია იმავე თემაზე სასაუბროდ, რომელზეც CLIL გაკვეთილზე საუბრობდნენ. ეს ხელს შეუწყობს ტერმინოლოგიის ორივე ენაზე შესწავლას.

ენის მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია დროის განსაზღვრა საგნის მასწავლებლებთან ინტეგრაციის დასაგეგმად,შესასწავლი თემებისა და ამ თემებისათვის საჭირო ლინგვისტური რესურსების განხილვის მიზნით. იდეალურ შემთხვევაში, ამაში მთელი CLIL ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, თუკი ეს თქვენს სამუშაო გარემოში რთულია, ბევრის მიღწევა შეიძლება ენისა და საგნის თითო მასწავლებლის ერთად მუშაობით. მოსწავლეები ენას უკეთესად ისწავლიან ენის გაკვეთილზე, თუ ისინი საგნის გაკვეთილის ინფორმაციასთან მუშაობენ და იყენებენ ამ ინფორმაციას ისეთი რამის შესაქმნელად ან გამოსახატავად, რასაც ისინი მნიშვნელოვნად/აზრიანად მიიჩნევენ. ასევე, ასე ნასწავლის გახსენება და გამოყენება საჭიროებისას უფრო ადვილია.

პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი,
რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 9-29.